მწვანე ალტერნატივა

მისამართი: 0179, თბილისის, ფალიაშვილის ქ. №27/29, II სართული
ტელეფონი: (+995 32) 2 22 38 74 / 2 29 27 73
ფაქსი: (+995 32) 2 22 38 74
ელ–ფოსტა: greenalt@greenalt.org

N 04 /06-152
“11” ნოემბერი, 2014

საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსს
ქალბატონ მაია ცქიტიშვილს

ადმინისტრაციული საჩივრის ავტორი:
ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“
აღმასრულებელი დირექტორი
ნინო გუჯარაიძე

ა დ მ ი ნ ი ს ტ რ ა ც ი უ ლ ი ს ა ჩ ი ვ ა რ ი

გასაჩივრებული მოქმედება:

1. საქართველოს მთავრობის კანცელარიის ადმინისტრაციული დეპარტამენტის საორგანიზაციო სამსახურის უფროსის 2014 წლის 16 ოქტომბრის უარი (რეალაქტი) მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის - „საქართველოს მთავრობას, „CLEAN ENERGY INVEST AS“-სა და შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“-ს შორის დასადები ხელშეკრულების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 9 ოქტომბრის #1844 განკარგულების გამოცემასთან დაკავშირებით ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების მასალების გაცემის შესახებ.

2. საქართველოს მთავრობის კანცელარიის ადმინისტრაციული დეპარტამენტის საორგანიზაციო სამსახურის უფროსის 2014 წლის 15 ოქტომბრის უარი (რეალაქტი) მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის - “ჰიდროელექტროსადგურ “ნენსკრას” პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 სექტემბრის #1789 განკარგულების გამოცემასთან დაკავშირებით ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების მასალების გაცემის შესახებ.

ადმინისტრაციული საჩივრის მოთხოვნა:

1. დაევალოს საქართველოს მთავრობის კანცელარიას, გადასცეს ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ 2014 წლის 13 ოქტომბრის #04/06-151 განცხადებით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის - „საქართველოს მთავრობას, „CLEAN ENERGY INVEST AS“-სა და შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“-ს შორის დასადები ხელშეკრულების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 9 ოქტომბრის #1844 განკარგულების გამოცემასთან დაკავშირებით ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების მასალების ასლი.

2. დაევალოს საქართველოს მთავრობის კანცელარიას, გადასცეს ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ 2014 წლის 08 ოქტომბრის #04/06-150 განცხადებით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის - “ჰიდროელექტროსადგურ “ნენსკრა”-ს” პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 სექტემბრის #1789 განკარგულების გამოცემასთან დაკავშირებით ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების მასალების ასლი.

გარემოებანი, რომელსაც ეფუძნება საჩივრის მოთხოვნა:

ფაქტობრივი გარემოებანი:

- 2014 წლის 13 ოქტომბერს ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივამ“ #04/06-151 განცხადებით მიმართა საქართველოს მთავრობის კანცელარიის საჯარო ინფორმაციის პასუხისმგებელ პირს და მოითხოვა საჯარო ინფორმაციის - „საქართველოს მთავრობას, „CLEAN ENERGY INVEST AS“-სა და შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“-ს შორის დასადები ხელშეკრულების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 9 ოქტომბრის #1844 განკარგულების გამოცემასთან დაკავშირებით ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების მასალების გაცემა.

მტკიცებულება: დანართი #1. ა(ა)იპ “მწვანე ალტერნატივას“ 2014 წლის 13 ოქტომბრის #04/06-151 განცხადება.

- 2014 წლის 08 ოქტომბერს ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივამ“ #04/06-150 განცხადებით მიმართა საქართველოს მთავრობის კანცელარიის საჯარო ინფორმაციის პასუხისმგებელ პირს და მოითხოვა საჯარო ინფორმაციის - “ჰიდროელექტროსადგურ “ნენსკრას” პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 სექტემბრის #1789 განკარგულების გამოცემასთან დაკავშირებით ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების მასალების გაცემა.

მტკიცებულება: დანართი #2. ა(ა)იპ “მწვანე ალტერნატივას“ 2014 წლის 08 ოქტომბრის #04/06-150 განცხადება.

- საქართველოს მთავრობის კანცელარიის ადმინისტრაციული დეპარტამენტის საორგანიზაციო სამსახურის უფროსის 2014 წლის 16 ოქტომბრის #34957 წერილით (რეალაქტი) ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ უარი ეთქვა მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის - „საქართველოს მთავრობას, „CLEAN ENERGY INVEST AS“-სა და შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“-ს შორის დასადები ხელშეკრულების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 9 ოქტომბრის #1844 განკარგულების გამოცემასთან დაკავშირებით ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების მასალების გაცემაზე, იმ საფუძვლით, რომ აღნიშნული აქტის გამოცემისათვის ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების ამსახველი დოკუმენტაცია წარმოადგენს კომერციულ საიდუმლოებას.

მტკიცებულება: დანართი #3. საქართველოს მთავრობის კანცელარიის ადმინისტრაციული დეპარტამენტის საორგანიზაციო სამსახურის უფროსის 2014 წლის 16 ოქტომბრის #34957 წერილი.

- საქართველოს მთავრობის კანცელარიის ადმინისტრაციული დეპარტამენტის საორგანიზაციო სამსახურის უფროსის 2014 წლის 15 ოქტომბრის #34698 წერილით (რეალაქტი) ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ უარი ეთქვა მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის - “ჰიდროელექტროსადგურ “ნენსკრას” პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს

მთავრობის 2014 წლის 30 სექტემბრის #1789 განკარგულების გამოცემასთან დაკავშირებით ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების მასალების გაცემაზე, იმ საფუძვლით, რომ აღნიშნული აქტის გამოცემისათვის ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების ამსახველი დოკუმენტაცია წარმოადგენს კომერციულ საიდუმლოებას.

მტკიცებულება: დანართი #4. საქართველოს მთავრობის კანცელარიის ადმინისტრაციული დეპარტამენტის საორგანიზაციო სამსახურის უფროსის 2014 წლის 15 ოქტომბრის #34698 წერილი.

საჩივრის სამართლებრივი საფუძვლები:

1. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის (შემდგომში - სზაკ) 177.3 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება, რომელიც არ არის დაკავშირებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემასთან, გასაჩივრდება ამ თავით დადგენილი წესით, ამავე კოდექსის 180.2 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება უნდა გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში იმ დღიდან, როდესაც შესაბამისი დაინტერესებული მხარისათვის ცნობილი გახდა ამ მოქმედებათა განხორციელების ან განხორციელებისაგან თავის შეკავების შესახებ.

2. სზაკ-ის მე-40 მუხლით ადმინისტრაციული ორგანოსათვის დაკისრებული ვალდებულების შესრულება არ გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას. ამავე კოდექსის 2.1 მუხლის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტი არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. მოცემულ შემთხვევაში, საქართველოს მთავრობის კანცელარიის ადმინისტრაციული დეპარტამენტის საორგანიზაციო სამსახურის უფროსის 2014 წლის 15 ოქტომბრის #34698 და 2014 წლის 16 ოქტომბრის #34957 წერილები არ აწესებენ, არ ცვლიან, არ წყვეტენ და არ ადასტურებენ პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტი). მაშასადამე, აღნიშნული წერილები, ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით, წარმოადგენენ არა ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს, არამედ რეალაქტებს.

3. ადმინისტრაციულმა ორგანომ დაარღვია: (ა) ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი, რომლის თანახმად, ყველას აქვს გამოხატვის თავისუფლება. ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას ჰქონდეს მოსაზრებანი, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები; (ბ) საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლი, რომლის თანახმად, ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვა საშუალებით.

4. საქართველოს მთავრობის კანცელარიის ადმინისტრაციული დეპარტამენტის საორგანიზაციო სამსახურის უფროსის 2014 წლის 15 ოქტომბრის #34698 და 2014 წლის 16 ოქტომბრის #34957 წერილებით (რეალაქტებით) ადმინისტრაციულმა ორგანომ დაარღვია სზაკ-ის მე-40 და 41-ე მუხლის მოთხოვნები. კერძოდ, ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ არ გადმოსცა 2014 წლის 08 და 13 ოქტომბრის განცხადებებით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია დადგენილ ვადაში; საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის შემთხვევაში, ადმინისტრაციულ ორგანოს ეკისრებოდა ვალდებულება, გადაწყვეტილების მიღებიდან 3 დღის ვადაში, წერილობით განემარტა განმცხადებლისათვის მისი უფლებები და გასაჩივრების წესი, ასევე, უნდა მიეთითებინა ის სტრუქტურული ქვედანაყოფი ან საჯარო დაწესებულება, რომელთანაც წარმოებდა

კონსულტაცია ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის გადაწყვეტილების მიღებისას, რაც, განსახილველ შემთხვევაში, ადმინისტრაციულ ორგანოს არ განუხორციელებია.

5. მოცემულ შემთხვევაში, განცხადება საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ წარდგენილია საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსის სახელზე, რომელიც სზაკ-ის 178.1 მუხლის თანახმად, წარმოადგენს საქართველოს მთავრობის კანცელარიის ადმინისტრაციული დეპარტამენტის საორგანიზაციო სამსახურის უფროსის ზემდგომ თანამდებობის პირს. ამავე კოდექსის 3.1 მუხლის თანახმად, ამ კოდექსის მოქმედება ვრცელდება საქართველოს მთავრობის საქმიანობაზე.

6. სზაკ-ის 177.3 მუხლის თანახმად, ამ თავით (მე-13 თავი) დადგენილი წესით გასაჩივრდება, აგრეთვე, ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება. განსახილველ შემთხვევაში, სახეზეა სწორედ ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება (რეალაქტი) - მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე ადმინისტრაციული ორგანოს უარის შესახებ, რომელიც საჩივრდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით.

7. ადმინისტრაციული ორგანოს ქმედების - საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის შესახებ განმცხადებელს ეცნობა საქართველოს მთავრობის კანცელარიის ადმინისტრაციული დეპარტამენტის საორგანიზაციო სამსახურის უფროსის 2014 წლის 15 ოქტომბრის #34698 და 2014 წლის 16 ოქტომბრის #34957 წერილებით.

იმის გათვალისწინებით, რომ ზემოაღნიშნული წერილებით განმცხადებელს არ განემარტა მისი გასაჩივრების წესი, ადმინისტრაციულ საჩივარს წარმოვადგენთ საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსის სახელზე, რომელსაც სზაკ-ის 185-ე, მე-80 მუხლების შინაარსიდან გამომდინარე, ეკისრება ვალდებულება განსაზღვროს ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო და უკეთუ ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ ადმინისტრაციული საჩივრის განხილვასთან დაკავშირებით საკითხის გადაწყვეტა მიეკუთვნება სხვა ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებას, გადაუგზავნოს უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს ადმინისტრაციული საჩივარი თანდართული მასალებით, ხოლო შესაბამისი დასაბუთება 2 დღის განმავლობაში წერილობით აცნობოს განმცხადებელს.

8. წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივარი აკმაყოფილებს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს, დაცულია ამ კოდექსის 181-ე მუხლით გათვალისწინებული საჩივრის ფორმა, მისი წარდგენის კანონით გათვალისწინებული 30-დღიანი ვადა (საქართველოს მთავრობის კანცელარიის ადმინისტრაციული დეპარტამენტის საორგანიზაციო სამსახურის უფროსის 2014 წლის 15 ოქტომბრის #34698 და 2014 წლის 16 ოქტომბრის #34957 წერილები ჩაგვბარდა 2014 წლის 17 ოქტომბერს), არ არსებობს ამავე კოდექსის 182-ე მუხლით დადგენილი ადმინისტრაციული საჩივრის მიღებაზე უარის თქმის საფუძვლები, რის გამოც, **გთხოვთ:**

1. მიიღოთ ადმინისტრაციული საჩივარი წარმოებაში და განიხილოთ ის ზეპირი მოსმენით საჩივრის შემომტანი პირების აუცილებელი მონაწილეობით;

2. დაევალოს საქართველოს მთავრობის კანცელარიას, გადასცეს ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ 2014 წლის 13 ოქტომბრის #04/06-151 განცხადებით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის - „საქართველოს მთავრობას, „CLEAN ENERGY INVEST AS“-სა და შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“-ს შორის დასადები ხელშეკრულების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 9 ოქტომბრის #1844 განკარგულების გამოცემასთან დაკავშირებით ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების მასალების ასლი.

3. დაევალოს საქართველოს მთავრობის კანცელარიას, გადასცეს ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა“-ს 2014 წლის 08 ოქტომბრის #04/06-150 განცხადებით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის - “ჰიდროელექტროსადგურ “ნენსკრას” პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 სექტემბრის #1789 განკარგულების გამოცემასთან დაკავშირებით ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების მასალების ასლი.

საჩივარზე დართული დოკუმენტების ნუსხა:

1. ა(ა)იპ “მწვანე ალტერნატივას“ 2014 წლის 13 ოქტომბრის #04/06-151 განცხადება, 1 ფურცელი;
2. ა(ა)იპ “მწვანე ალტერნატივას“ 2014 წლის 08 ოქტომბრის #04/06-150 განცხადება, 3 ფურცელი;
3. საქართველოს მთავრობის კანცელარიის ადმინისტრაციული დეპარტამენტის საორგანიზაციო სამსახურის უფროსის 2014 წლის 16 ოქტომბრის #34957 წერილი, 1 ფურცელი;
4. საქართველოს მთავრობის კანცელარიის ადმინისტრაციული დეპარტამენტის საორგანიზაციო სამსახურის უფროსის 2014 წლის 15 ოქტომბრის #34698 წერილი, 1 ფურცელი;
5. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, 2 ფურცელი;
6. რწმუნებულება, 1 ფურცელი.

წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისათვის.

პატივისცემით,

ნინო გუჯარაიძე

აღმასრულებელი დირექტორი